ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 108

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო 2016 წლის „22“ „სექტემბერს“ ქ.თბილისში

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მოთხოვნათა შესაბამისად, სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით, **საკუთარი სახსრებით**, გამარტივებული შესყიდვით. („სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს!“ ქვეპუნქტისა და „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის „ა“ პუნქტის საფუძველზე) (CPV კოდი – 35113000).

ერთის მხრივ სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო (შემდგომში **შემსყიდველი**) სააგენტოს უფროსის მოადგილის ირაკლი გოდუაძის სახით, **მისამართი**: ქ.თბილისი, გ. გულუას ქ. № 6. ს/კ 204578581. **ტელ:** 2753910. **საბანკო რეკვიზიტები:** ცენტრალური ხაზინა, კოდი TRESGE22, ა/ა GE24NB0330100200165022. **ხოლო მეორეს მხრივ** შ.პ.ს. „სოფთმასტერი“ (შემდგომში **მიმწოდებელი**) მისი დირექტორის მიხეილ კვეტენაძის სახით, **მისამართი:** ქ. თბილისი, ივ.ჯავახიშვილის ქ 100. ს/კ 204436994. **ტელ:** 922240; 599922240. **საბანკო რეკვიზიტები:** ქ.თბილისი, ს.ს. „ტერა ბანკი“, ბანკის კოდი KSBGGE22, ა/ა GE18KS0000000361200072. ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას მიაწოდოს შემსყიდველს 1 (ერთი) ცალი „დიჯიპასი“ „Vasco DIGIPASS GO 3“ შესაბამისი „გასაღებით“ (შემდგომში საქონელი) ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

2. საქონლის ღირებულება

2.1 მთლიანი სახელშეკრულებო თანხა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით (მათ შორის ტრანსპორტირების) შეადგენს **50 (ორმოცდაათი)** ლარს.

3. საქონლის მიღება-ჩაბარება

3.1 საქონლის მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელის მოწერით, კონტროლის განმახორციელებელი ჯგუფის წევრების მხოლოდ დადებითი დასკვნის საფუძველზე.

3.2 საქონლის მიწოდებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში შემსყიდველის წარმომადგენლები (კონტროლის განმახორციელებელი ჯგუფის წევრები) განიხილავენ მიწოდებული საქონლის შესაბამისობას ხელშეკრულებით დადგენილთან.

3.3 იმ შემთხვევაში თუ, მიწოდებული საქონელი შეესაბამება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, შემსყიდველის უფლებამოსილი პირი, მიწოდებული საქონლის შესახებ მიმწოდებელთან ადგენს მიღება-ჩაბარების აქტს და ახორციელებს მიწოდებული საქონლის მიღებას, ხოლო თუ, საქონლის მიწოდების პროცესში გამოვლინდება, რომ საქონელი არ აკმაყოფილებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს საქონელი და მოსთხოვოს მიმწოდებელს, მიმწოდებლის ხარჯით 5 (ხუთი) სამუშო დღის ვადაში გამოასწოროს წუნდებული საქონლის ხარისხი წუნდებული საქონლის ახალი საქონლის ჩანაცვლებით.

3.4 იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების 3.3 პუნქტის საფუძველზე არ განხორციელდა საქონლის მიღება, მიმწოდებელს ახალი უნაკლო საქონლის მიწოდებამდე დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების მე-10 მუხლით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

3.5 საქონელი ჩაითვლება მიღებულად მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მხრიდან ხელმოწერის შემდეგ. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტს ხელს აწერს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს ფინანსური დეპარტამენტის უფროსი ან ამავე დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი.

3.6 შემსყიდველი ვალდებულია წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული საქონლის რაოდენობის და წუნდების მიზეზის მითითებით.

4. საქონლის მიწოდების ვადები და ადგილი

4.1 საქონლის მიწოდება ხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

4.2 საქონლის მიწოდება ხორციელდება შემსყიდველის მისამართზე: ქ.თბილისი, გ. გულუას ქ. № 6.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1 მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს შემსყიდველს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო საქონელი.

5.2 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს სხვას მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები.

5.3 შემსყიდველი უფლებამოსილია მოითხოვოს მიმწოდებლისაგან ამ ხელშეკრულებით ნაკისრი პირობების განუხრელი შესრულება.

6. გარანტია

6.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული საქონელი იქნება ხარისხიანი და მისი ექსპლუატაციის ნორმების დაცვის შემთხვევაში, არ გამოავლენს დეფექტს და შეესაბამება ხელშეკრულების მოთხოვნებს.

6.2 წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე შესყიდული საქონლის საგარანტიო ვადა შეადგენს 12 (თორმეტი) თვეს მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან.

6.3 თუ მიწოდებული საქონლის საგარანტიო ვადის ამოწურვამდე აღმოჩნდება ან გამოვლინდება ნაკლი ან/და დეფექტი, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის შეტყობინებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღეში უზრუნველყოს ნაკლიანი საქონლის შეკეთება ან ახლით შეცვლა (ახლით შეცვლის შემთხვევაში საქონელი უნდა იყოს შესაცვლელი საქონლის არანაკლები ტექნიკური მახასიათებლების და მონაცემების).

7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიწოდების შემდეგ, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ორმხრივად გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის, სასაქონლო ზედნადების და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე, მათი წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

7.2 ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ლარებში.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

8.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
8.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
8.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

10. მხარეთა პასუხისმგებლობა

10.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების ვად(ებ)ის (ყოველ კონკრეტულ შემთხვევაზე) გადაცილების შემთხვევაში დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხელო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მისაწოდებელი საქონლის ღირებულების 0.1 პროცენტის ოდენობით. (ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობაში არ ჩაითვლება იმ დღეების რაოდენობა, რომელიც დაჭირდება კონტროლის განმახორციელებელი ჯგუფის წევრების მიერ დასკვნის მომზადებას).
10.2 შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებლის მიერ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობ(ებ)ის არაჯეროვნად შესრულებისათვის, ყოველ კონკრეტულ ფაქტზე დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხელო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.5 პროცენტის ოდენობით. ამ პუნქტის მოქმედების დროს გამოირიცხება 10.1 პუნქტის მოქმედება.
10.3 იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების 10.1 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს რაოდენობა მიაღწევს მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულების 1 (ერთი) პროცენტს, შემსყიდველს უფლება აქვს ნებისმიერ დროს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება. ხელშეკრულების შეწყვეტა არ ანთავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობიდან.
10.4 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს იმ შემთხვევაშიც, თუ ზიანი მიადგა მესამე პირებს და ეს შედეგი არ დადგებოდა ვალდებულება ჯეროვნად, რომ შესრულებულიყო.
10.5 მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან:
10.5.1 თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით ან/და მხარეები ხელშეკრულების შესრულების პროცესში წააწყდებიან ისეთ ხელშემშლელ გარემოებებს, რომელიც გამოწვეულია მათგან დამოუკიდებელი სხვა ობიექტური მიზეზებით. ფორს-მაჟორული პირობების გათვალისწინება რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
10.5.2 ის მხარე, რომელიც ხელშეკრულების 10.5.1 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევების გამო ვერ ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამომწვევი მიზეზებისა და მისი შესაძლო ხანგრძლივობის შესახებ, ხოლო შეტყობინებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა წარმოადგინოს ცნობა შესაბამისი კომპენტენტური ორგანიზაციიდან (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელიც დაადასტურებს წერილში მოყვანილ გარემოებებს;
10.5.3 ხელშეკრულების 10.5.2 პუნქტით გათვალისწინებული პირობების დაცვის შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან გადახედონ ხელშეკრულების პირობებს და შეიტანონ მასში შესაბამისი ცვლილება ვალდებულების შესრულების ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით ან/და (არგუმენტაციის საფუძველზე) ვადამდე შეწყვიტონ ხელშეკრულება.
10.6 მიმწოდებლის ინიციატივით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, ხელშეკრულების შეწყვეტამდე მიმწოდებელი ვალდებულია ვადაგადაცილებული დღეებისათვის და ხელშეკრულების პირობების არაჯეროვნად შესრულებისათვის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მასზედ დაკისრებული პირგასამტეხლო(ები)ს გარდა გადაუხადოს შემსყიდველს ხელშეკრულების შეწყვეტისათვის პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტის ოდენობით.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

11.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:
11.1.1 თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი;
11.1.2 თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.
11..2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
11..3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყეტის შესახებ აგრეთვე:
11.3.1 თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
11.3.2 წინამდებარე ხელშეკრულების მე-10 მუხლის 10.3 პუნქტის დადგომის შემთხვევაში.
11.3.3 მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;
11.3.4 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

12. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

12.1 შემსყიდველს უფლება აქვს მიმწოდებლის მიერ საქონლის მიწოდებისას, განახორციელოს კონტროლი. კონტროლს ახორციელებს შემსყიდველის წარმომადგენლები: სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს ფინანსური დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი მაკა ბაღიშვილი და სააგენტოს ადმინისტრაციული დეპარტამენტის ქსელების ადმინისტრატორი ბორის ნაფეტვარიძე (შემდგომში „კონტროლის განმახორციელებელი ჯგუფი“).
12.2 კონტროლის განმახორციელებელი ჯგუფის ფუნქციებია:
12.2.1 გაუწიოს კონტროლი საქონლის მოწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენას.

12.2.2 დაადგინოს შეესაბამება, თუ არა მიწოდებული საქონელი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და/ან მოთხოვნებს.
12.2.3 უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის მიღება.
12.3 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.
12.4 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13. ფორს-მაჟორი

13.1 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, უპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით და სხვა.
13.2 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

14. სადაო საკითხების გადაწყვეტა

14.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
14.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს სასამართლოს.
14.3 პირობები რომლებიც არ რეგულირდება ამ ხელშეკრულებით მიიღება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1 ეს ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, გარდა ამ ხელშეკრულების მე-6 და მე-10 მუხლებისა.
15.2 ხელშეკრულების მე-6 და მე-10 მუხლები ძალაშია საქონლის მთლიანი საგარანტიო პერიოდის განმავლობაში.
15.3 მხარეები არსებითად ეთანხმებიან ხელშეკრულების პირობებს და ყოველივე ზემოთქმულის დასტურად გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომლებიც ინახება ხელშეკრულების მონაწილე მხარეებთან.

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
----------	----------
ირაკლი გოდუაძე	მიხეილ კვეტენაძე
სააგენტოს უფროსის მოადგილე	შ.პ.ს. „სოფთმასტერი"-ს დირექტორი